

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №05
2014 წლის 25 დეკემბერი

ქ. ბათუმი

„საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2014 წლის 14 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 46-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესი.“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 01 იანვარიდან.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ზაზა მახარაძე

საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარების, ასევე საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების მონიტორინგის წესსა და პირობებს.

2. წინამდებარე წესის მიზანია ხელი შეუწყოს მეზღვაურთა სწავლებისა და წვრთნის სისტემის სრულყოფას, მაღალხარისხიანი, თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სწავლების პროცესის დამკვიდრებასა და განვითარებას, მეზღვაურთა სწავლებისა და წვრთნის სისტემის მუდმივ სრულყოფასა და განვითარებას.

3. წინამდებარე წესში მოცემული ცნებები და ტერმინები, თუ არ არის სპეციალური მითითება, გამოიყენება „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978 წლის საერთაშორისო კონვენციისა და „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ კოდექსის (შემდგომში STCW კოდექსი) განსაზღვრული მნიშვნელობით.

მუხლი 2. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო

1. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებების აღიარებას შესაბამისი დაწესებულებების ავტორიზაციისა და



მათი სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის გზით ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ (ტექსტში შემდგომ – სააგენტო) მონაწილეობით.

2. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარებას „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ რეკომენდირებული მოდელური კურსების შესაბამისად უზრუნველყოფს სააგენტო.

3. სააგენტო საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარების მიზნით გასცემს აღიარების სერტიფიკატს, რომლის მიხედვით განისაზღვრება სწავლებისა და წვრთნის კურსები (პროგრამები), რომლის ჩატარების უფლებამოსილებაც გააჩნია შესაბამის საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებას.

4. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარების სერტიფიკატის ფორმა და მასზე დასატანი ინფორმაცია განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი კურსების აღიარების სერტიფიკატი სრულდება ქართულ და ინგლისურ ენაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება №08- ვებგვერდი, 21.05.2020წ.

მუხლი 3. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი კურსების აღიარების წესი და პირობები

1. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების ან საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარების მიღების მიზნით აუცილებელია სააგენტოს მიერ დამტკიცებული განაცხადის წარდგენა.

2. განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

ა) მოქმედი ხარისხის სტანდარტის სერტიფიკატის ასლი;

ბ) საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებაში ან საზღვაო-საწვრთნელ კურსზე (პროგრამაზე) მსმენელთა მიღების მინიმალური მოთხოვნები (ასაკი, კვალიფიკაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა);

გ) საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) სასწავლო გეგმა (სილაბუსი), კურსის (პროგრამის) ხანგრძლივობა, განრიგი, სწავლების მეთოდი, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ რეკომენდირებული მოდელური კურსების შესაბამისად;

გ¹. სააგენტო უფლებამოსილია აღიაროს საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების მიერ შემუშავებული ის შემოკლებული კურსები, იმავე სახელწოდების სრული კურსის ნაწილად, რომლის განხორციელების საშუალებას იძლევა STCW კონვენცია.

დ) შენობა-დანადგარების, მოქმედი საწვრთნელი აღჭურვილობების, მოწყობილობების და საშუალებების აღწერა, რომლებიც გამოყენებული იქნება საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) ჩატარებისას;

ე) სიმულატორზე დაფუძნებული ტრენაჟორების არსებობის შემთხვევაში, მწარმოებლის მიერ გაცემული სერტიფიკატი;

ვ) საზღვაო-საწვრთნელი კურსებისთვის აუცილებელი ლიტერატურისა და მულტიმედიური სასწავლო მასალების აღწერა, მათ შორის, საზღვაო კანონმდებლობა, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) რეზოლუციები, ცნობარები და სხვა;

ზ) ინსტრუქტორების, ზედამხედველებისა და შემფასებლების სახელი, გვარი, რაოდენობა და მათი



კვალიფიკაცია სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად;

თ) შესაბამის საზღვაო-საწვრთნელ კურსზე (პროგრამაზე) მისაღებ მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა, კურსის (პროგრამის) მსმენელების პროპორციულობა ინსტრუქტორებისა და შემფასებლების რაოდენობასთან მიმართებით;

ი) საზღვაო-საწვრთნელ კურსზე (პროგრამაზე) მისაღები მსმენელის პროპორციულობა შესაბამის საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებში არსებულ აღჭურვილობებისა და მოწყობილობებთან მიმართებით;

კ) შეფასების ფორმა (მიმდინარე და დასკვნითი), კრიტერიუმები და მიზანი;

ლ) საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) გავლის დოკუმენტური დასაბუთების ნიმუში;

მ) საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ნ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

3. საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარების განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი საზღვაო-საწვრთნელი კურსებისთვის (პროგრამებისათვის) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ-ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია /დოკუმენტაცია.

4. სააგენტოს მიერ საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების განცხადება და თანდართული მასალები საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა ან საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) აღიარების შესახებ განიხილება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

5. სააგენტო გადაწყვეტილებას საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა ან/და საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარების ან აღიარებაზე უარის შესახებ იღებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან 40 დღის ვადაში. განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია დაჩქარებული მომსახურების გაწევა.

6. სააგენტო შესაბამის საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებში ადგილზე ამოწმებს წარდგენილ განცხადებებში მითითებული (ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული) ინფორმაციის ნამდვილობას ან/და უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მათი ნამდვილობის დადასტურების მიზნით.

7. სააგენტოს გადაწყვეტილება საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარების ან აღიარებაზე უარის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარების ვადა განისაზღვრება 5 წლით.

9. საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარების ვადად განისაზღვრება 2 წელი.

10. შესაძლებელია საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების ან საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) აღიარებაში შევიდეს ცვლილება დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე. სააგენტო განცხადებას ცვლილების შესახებ განიხილავს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. თუ საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების ან საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) აღიარებაში შევა ცვლილება, სააგენტო ცვლილების შეტანას ადასტურებს ახალი სერტიფიკატის გაცემით, რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრება ის თარიღი, რომელიც მითითებულია სერტიფიკატში, სადაც შევიდა ცვლილება.

11. აღიარებული საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებები ვალდებული არიან მეზღვაურთა სწავლებისა და წვრთნის თაობაზე საერთაშორისო აქტებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, განაახლონ და საერთაშორისო აქტებთან შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი სასწავლო-საწვრთნელი



კურსის პროგრამები. მეზღვაურთა სწავლებისა და წვრთნის თაობაზე საერთაშორისო აქტებში შეტანილი ცვლილებების შესახებ საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებს ეცნობება სააგენტოს მიერ, სააგენტო მათ ასევე განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაში საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საზღვაო-საწვრთნელი კურსის პროგრამების საერთაშორისო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა. სააგენტოს მიერ მითითებულ ვადებში, სასწავლო-საწვრთნელი დაწესებულებების მიერ, მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსების პროგრამების საერთაშორისო აქტებთან შესაბამისობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი შესაბამისი საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებისათვის ან საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამებისათვის) აღიარების გაუქმების თაობაზე.

12. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ¹“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემოკლებულ კურსებზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:

- ა) გასავლელი შემოკლებული კურსის შესაბამისი კვალიფიკაციის სერტიფიკატი, გაცემული ბოლო 5 წლის განმავლობაში; და
- ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში 12 თვის ნაოსნობის დამტკიცებული სტაჟი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №04 - ვებგვერდი, 05.09.2018წ.

მუხლი 4. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების ინსტრუქტორების, ზედამხედველებისა და შემფასებლების აღიარების წესი

1. ინსტრუქტორები, ზედამხედველები და შემფასებლები, გარდა კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმებისა, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) გააჩნდეთ შესაბამის საწვრთნელ კურსთან დაკავშირებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება;
- ბ) გააჩნდეთ 3 (სამი) წლიანი-სწავლების გამოცდილება ბოლო 10 (ათი) წლის განმავლობაში ან გავლილი ჰქონდეთ ინსტრუქტორის, ზედამხედველისა და შემფასებლის მომზადების კურსი;
- გ) გავლილი ჰქონდეთ სიმულატორზე დაფუძნებული საწვრთნელი კურსის მომზადება და გააჩნდეთ კონკრეტული სიმულატორის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება, იმ შემთხვევაში, თუ საწვრთნელი კურსი დაფუძნებულია სიმულატორზე.

2. შემფასებელი, კანონმდებლობით და წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) გავლილი ჰქონდეს მეზღვაურთა შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული წვრთნა;
- ბ) სიმულატორების საშუალებით შეფასებისას, გააჩნდეს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება.

3. კონკრეტული კურსის ინსტრუქტორისა და შემფასებლის მიმართ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია დანართი №2-ით.

4. სააგენტო უზრუნველყოფს შერჩეული ინსტრუქტორებისა და შემფასებლების რეესტრის წარმოებას და სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 13.10.2020წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 3 ივნისის ბრძანება №08 - ვებგვერდი, 04.06.2021წ.

მუხლი 5. საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) გავლის დოკუმენტური დასაბუთების აუცილებელი რეკვიზიტები

1. საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) გავლის დოკუმენტური დასაბუთება უნდა



შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ა) აღიარებული საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების სახელწოდებას, მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას;
- ბ) დოკუმენტის უნიკალურ ნომერს;
- გ) გავლილი საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) დასახელებას და მითითებას STCW კონვენციის შესაბამის რეგულაციაზე;
- დ) კურსდამთავრებულის სახელს, გვარს, პირად ნომერს და მეზღვაურის ნომერს;
- ე) მითითებას კურსდამთავრებულის მიერ საზღვაო-საწვრთნელი კურსის წარმატებით დასრულების ან კვალიფიკაციის შესაბამისი დონის მიღწევის შესახებ;
- ვ) მითითება საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამა) აღიარებულია სააგენტოს მიერ;
- ზ) საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების უფლებამოსილი პირის ხელმოწერას;
- თ) კურსდამთავრებულის ხელმოწერას.

მუხლი 6. სააგენტოს მიერ საზღვაო-სასწავლო დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგი

1. სააგენტო „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს საზღვაო-სასწავლო დაწესებულებების ყოველწლიური მონიტორინგი, მეზღვაურთა განათლების, სწავლებისა და წვრთნის საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
2. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგი გულისხმობს საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და მათი სასწავლო კურსების (პროგრამების) შეფასებას წინამდებარე წესის, კონვენციითა და STCW კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.
3. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებების მონიტორინგი სააგენტოს მიერ შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირთან – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან ერთობლივად, ისე დამოუკიდებლად.
4. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებების სააგენტოს მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული მონიტორინგის შედეგები სააგენტოს მიერ ეგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, შემოწმების შედეგებზე რეაგირებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების (ავტორიზაციის, აკრედიტაციის გაუქმების შესახებ და ა.შ.) გამოყენების მიზნით.

მუხლი 7. სააგენტოს მიერ საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების მონიტორინგი

1. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგი გულისხმობს საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) შეფასებას აღიარების პირობებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
2. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების ან მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, თუ გამოვლინდება შესაბამისი საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების მიერ აღიარების პირობების ან/და განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების ან/და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამების) აღიარების შეჩერების ან/და გაუქმების შესახებ.



3. საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) აღიარების შეჩერების შემთხვევაში შესაბამის საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებას განესაზღვრება ვადა (არა უმეტეს 6 თვისა), რომლის განმავლობაში იგი ვალდებულია აღმოფხვრას სააგენტოს მიერ მითითებული ხარვეზები. ხარვეზების აღმოფხვრელობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია გააუქმოს შესაბამისი დაწესებულების აღიარება.

4. აღიარების გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაბამის საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებას უწყდება უფლებამოსილება განაგრძოს სწავლების/წვრთნის კურსები ან/და გასცეს შესაბამისი კურსის (პროგრამის) გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. აღიარების გაუქმებიდან არანაკლებ 6 თვის განმავლობაში შესაბამის საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებას უფლება არა აქვს საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულების ან მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) ხელახალი აღიარების მოთხოვნით მიმართოს სააგენტოს.

მუხლი 8. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების მონიტორინგის ზოგადი პირობები

1. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებებისა და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) მონიტორინგი სააგენტოს მიერ ხორციელდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ. ამასთან, სააგენტოს გადაწყვეტილებით, სააგენტო უზრუნველყოფს საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების არაგეგმური მონიტორინგის განხორციელებას, რომლის შესახებაც დაწესებულებას ეცნობება უშუალოდ მონიტორინგის დაწყების წინ.

1¹ სააგენტოს მიერ ხორციელდება საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) მიმდინარეობის ვიდეომონიტორინგი, ონლაინ რეჟიმში. სააგენტო არ ახდენს ვიდეომონიტორინგის წარმოებას, შენახვას ან/და სხვა პირზე გადაცემას. ვიდეომონიტორინგის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად.

2. (ძალადაკარგულია - 12.10.2020, №14).

3. (ძალადაკარგულია - 12.10.2020, №14).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანება №01 - ვებგვერდი, 25.07.2017წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 1 ივლისის ბრძანება №05- ვებგვერდი, 03.07.2019წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 13.10.2020წ.

მუხლი 9. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების რეესტრი

1. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების თაობაზე არსებული მონაცემების სისტემატიზაციისა და მათი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტო აწარმოებს ავტორიზებული საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და აღიარებული საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების რეესტრს (ტექსტში შემდგომ – რეესტრი).

2. რეესტრში შეიტანება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და აღიარებული საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების თაობაზე შემდეგი მონაცემები:

ა) დასახელება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისამართი;

ბ) მონაცემები დაწესებულების ხელმძღვანელი პირის (პირების) ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ;



გ) საზღვაო-სასწავლო დაწესებულების შემთხვევაში:

გ.ა) საზღვაო-სასწავლო დაწესებულების ავტორიზაციის თარიღი და ავტორიზაციის მოქმედების ვადა;

გ.ბ) ინფორმაცია შესაბამის საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საზღვაო-სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

გ.გ) შესაბამისი საზღვაო-სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თარიღი და მოქმედების ვადა.

დ) საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების შემთხვევაში:

დ.ა) საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარების თარიღი და აღიარების მოქმედების ვადა;

დ.ბ.) ინფორმაციას შესაბამის საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებში აღიარებული საზღვაო-საწვრთნელი კურსებისა (პროგრამებისა) და აღიარების მოქმედების პერიოდის შესახებ;

ე) მონაცემები საზღვაო-სასწავლო დაწესებულებისა და მათი სასწავლო პროგრამების ავტორიზაციისა/აკრედიტაციის და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებისა და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამების) აღიარების გაუქმების შესახებ;

ვ) მონაცემები საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებისა და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამების) აღიარების შეჩერებისა და მისი განახლების თაობაზე;

ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.

3. რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს რეესტრში შეტანილ მონაცემებს და მიიღოს ამონაწერი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სააგენტო უზრუნველყოფს რეესტრის ონლაინ ვერსიის წარმოებასა და მის განთავსებას სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დანართი №1

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 1 ივლისის ბრძანება №05- ვებგვერდი, 03.07.2019წ.

ვიდეომონიტორინგის ჩატარების წესი და პირობები

1. საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებში მონიტორინგისათვის ვიდეოკამერა უნდა იყოს არანაკლებ 2 mega pxl, ჰორიზონტალური გარჩევადობა არანაკლებ 1280X1080, 1/2.8 CMOS მატრიცა, პროგრესული სკანირებით.

2. ვიდეოკამერა ისე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ ხედვის არე მოიცავდეს მთლიან საკლასო ოთახს.

3. ვიდეოკამერა დამონტაჟებული უნდა იყოს ასევე პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების ადგილებში.

4. ვიდეოკამერა არ ახორციელებს ხმის ჩაწერას.

5. ვიდეო-მონიტორინგს ახორციელებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო, რომელსაც რეალური დროის რეჟიმში IP მისამართის საშუალებით მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით გააჩნია წვდომა.

6. საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვიდეოგადაღების შედეგად მიღებული



დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღიარებული საწვრთნელი კურსების (პროგრამების) ინსტრუქტორებისა და შემფასებლების მიმართ

აღიარებული საწვრთნელი კურსი (პროგრამა)	ინსტრუქტორი და/ან შემფასებელი
საბაზისო წვრთნები (BST), რეგულაცია VI/1 პირადი გადარჩენის მეთოდები ცხრილი A-VI/1-1	<ol style="list-style-type: none"> უნდა ფლობდეს პირადი გადარჩენის მეთოდების კვალიფიკაციის სერტიფიკატს; და უნდა გააჩნდეს ნაოსნობის არანაკლებ 2 (ორი) წლის სტაჟი.
ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლა ცხრილი A-VI/1-2	<ol style="list-style-type: none"> უნდა ფლობდეს ხანძრის თავიდან აცილების და ხანძართან ბრძოლის კვალიფიკაციის სერტიფიკატს; და უნდა გააჩნდეს ნაოსნობის არანაკლებ 2 (ორი) წლის სტაჟი.
ელემენტარული პირველადი დახმარება ცხრილი A-VI/1-3	<p>ან</p> <ol style="list-style-type: none"> უნდა იყოს მოქმედი ექიმი და ჰქონდეს არანაკლებ ექიმად მუშაობის 1 წლის სტაჟი; მართვის დონის მეზღვაური, რომელსაც გააჩნია ორივე, სამედიცინო პირველადი დახმარების და სამედიცინო მომსახურების კვალიფიკაციის სერტიფიკატი.
პირადი უსაფრთხოება და სოციალური პასუხისმგებლობა ცხრილი A-VI/1-4	<ol style="list-style-type: none"> უნდა ჰქონდეს გავლილი საბაზისო წვრთნების კურსი; უნდა გააჩნდეს სავახტო თანაშემწის ან სამანქანე განყოფილების მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს სავახტო თანაშემწის ან სავახტო მექანიკოსის ან უფრო მაღალ რანგში ნაოსნობის არანაკლებ 1 (ერთ) წლის სტაჟი.
კოლექტიური სამაშველო საშუალებებისა და სამაშველო კატარლების მართვა, გარდა სწრაფმავალი სამაშველო კატარლებისა (FRB), ცხრილი A-VI/2-1	<ol style="list-style-type: none"> უნდა ფლობდეს FRB კვალიფიკაციის სერტიფიკატს; და უნდა გააჩნდეს არანაკლებ 1 წლის ნაოსნობის სტაჟი კვალიფიკაციის სერტიფიკატის მიღების შემდეგ.
სწრაფმავალი სამაშველო კატარლების მართვა (FRB),S ცხრილი A-VI/2-2	<ol style="list-style-type: none"> უნდა ფლობდეს FRB კვალიფიკაციის სერტიფიკატს; და უნდა გააჩნდეს სწრაფმავალი სამაშველო კატარლით აღჭურვილ გემზე არანაკლებ 1 წლის ნაოსნობის სტაჟი კვალიფიკაციის სერტიფიკატის მიღების შემდეგ.
ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოებული კურსი (AFT) ცხრილი A-VI/3	<p>და</p> <ol style="list-style-type: none"> უნდა ფლობდეს ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოებული კურსის სერტიფიკატს; უნდა იყოს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატის მფლობელი; უნდა გააჩნდეს მართვის დონის არანაკლებ 6-თვიანი ცურვის სტაჟი.
პირველადი სამედიცინო დახმარება (MFC), ცხრილი A-VI/4-1	<p>და</p> <ol style="list-style-type: none"> უნდა იყოს მოქმედი ექიმი უნდა გააჩნდეს მუშაობის არანაკლებ 1 (ერთი) წლის გამოცდილება.
სამედიცინო მომსახურება (MFC) ცხრილი A-VI-4-2	<ol style="list-style-type: none"> უნდა იყოს მოქმედი ექიმი, ექიმად არანაკლებ 5 (ხუთი)-წლიანი სამუშაო გამოცდილებით.



<p>გემის უშიშროების ოფიცერი (SSO)</p> <p>ცხრილი A-VI/5</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს გემის უშიშროების ოფიცრის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს ექსპლოატაციის ან მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და 3. უნდა გააჩნდეს გემზე მართვის დონეზე მუშაობის მინიმუმ 1 (ერთ)-წლიანი ნაოსნობის სტაჟი 2001 წლის შემდეგ.
<p>უშიშროებასთან დაკავშირებული უნარჩვევები (SEC)</p> <p>ცხრილი A-VI/6-1</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს გემის უშიშროების ოფიცრის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს ექსპლოატაციის ან მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და 3. უნდა გააჩნდეს მინიმუმ 1 (ერთ)-წლიანი ნაოსნობის სტაჟი 2001 წლის შემდეგ.
<p>უშიშროების განსაკუთრებული ვალდებულებები (SEC)</p> <p>ცხრილი A-VI/6-2</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს გემის უშიშროების ოფიცრის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს ექსპლოატაციის ან მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და 3. უნდა გააჩნდეს მინიმუმ 1 (ერთ)-წლიანი ნაოსნობის სტაჟი 2001 წლის შემდეგ.
<p>ნავთობშიდი და ქიმშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების საბაზისო წვრთნები (OCG)</p> <p>ცხრილი A-V/1-1-1</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს ნავთობშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების წვრთნის და ქიმშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს ექსპლოატაციის ან მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და 3. უნდა გააჩნდეს ნავთობშიდი ან ქიმშიდი ტანკერებზე ექსპლოატაციის დონეზე ცურვის არანაკლებ 1-წლიანი სტაჟი.
<p>ნავთობშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნა (OCG)</p> <p>ცხრილი A-V/1-1-2</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს ნავთობშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და 3. უნდა გააჩნდეს ნავთობშიდი ტანკერებზე მართვის დონეზე ცურვის არანაკლებ 1-წლიანი სტაჟი.
<p>ქიმშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნა (OCG)</p> <p>ცხრილი A-V/1-1-3</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს ქიმშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზირებული წვრთნის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და 3. უნდა გააჩნდეს ქიმშიდი ტანკერებზე მართვის დონეზე ცურვის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება.
<p>თხევადი აირშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების საბაზისო წვრთნა (LPG)</p> <p>ცხრილი A-V/1-2-1</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს თხევადი აირშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზირებული წვრთნის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს ექსპლოატაციის ან მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და 3. უნდა გააჩნდეს: <ul style="list-style-type: none"> • თხევად აირშიდი ტანკერებზე მართვის ან ექსპლოატაციის დონეზე ცურვის არანაკლებ 1 წლიანი ნაოსნობის სტაჟი; ან • სატვირთო ოპერაციების მართვის (Loading Master) არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება.
<p>თხევადი აირშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზირებული წვრთნა (LPG)</p> <p>ცხრილი A-V-1-2-2</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს თხევადი აირშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზირებული წვრთნის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს მართვის დონის კვალიფიკაციის სერტიფიკატები; <p>და</p> <ol style="list-style-type: none"> 3. უნდა გააჩნდეს: <ul style="list-style-type: none"> • თხევად აირშიდი ტანკერებზე მართვის დონეზე მუშაობის არანაკლებ 1 (ერთი) წლის სტაჟი; ან • სატვირთო ოპერაციების მართვის (Loading Master) არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება.
<p>არაორგანიზირებული ხალხის მასების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები მგზავრთა მომსახურე პერსონალისათვის (PSS)</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს არაორგანიზირებული ხალხის მასების მართვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები მგზავრთა მომსახურე პერსონალისათვის წვრთნის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს სავაზტო თანამშრომლის (ან უფრო მაღალი) კომპეტენციის



სექცია A-V2(.1) და (.2)	<p>სერტიფიკატი; და</p> <p>3. უნდა გააჩნდეს სავახტო თანაშემწედ არანაკლებ 1 წლის ნაოსნობის სტაჟი სამგზავრო გემებზე.</p>
<p>კრიზისის მართვა და ადამიანთა ქცევა, მგზავრების უსაფრთხოების, ტვირთის უსაფრთხოებისა და გემის კორპუსის სიმტკიცის უზრუნველყოფა, (PSS)</p> <p>სექცია A-V/2(.3) და (.4)</p>	<p>1. უნდა ფლობდეს კრიზისის მართვა და ადამიანთა ქცევა, მგზავრების უსაფრთხოების, ტვირთის უსაფრთხოებისა და გემის კორპუსის სიმტკიცის უზრუნველყოფის წვრთნის სერტიფიკატს;</p> <p>2. უნდა გააჩნდეს სავახტო თანაშემწის კომპეტენციის სერტიფიკატი; და</p> <p>3. უნდა გააჩნდეს სავახტო თანაშემწედ არანაკლებ 1 წლის ნაოსნობის სტაჟი სამგზავრო გემებზე.</p>
<p>GMDSS რადიო ოპერატორი,</p> <p>ცხრილი A-IV/2</p>	<p>1. უნდა გააჩნდეს რადიოოპერატორის სერტიფიკატი; და</p> <ul style="list-style-type: none"> • უნდა გააჩნდეს გემის GMDSS -ით მართვის სავახტო თანაშემწედ ცურვის არანაკლებ 2 წლის სტაჟი, როგორც მოითხოვება SOLAS '74-ით; ან • საზღვაო სფეროში GMDSS რადიოოპერატორად მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი
<p>ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობებისა და ინფორმაციული სისტემის (ეკმდის) გამოყენება (ECS)</p>	<p>1. უნდა ჰქონდეს გავლილი ეკმდის-ის გამოყენების წვრთნა და მისი გაახლებული ვერსია (2012);</p> <p>2. უნდა გააჩნდეს სავახტო თანაშემწის (ან უფრო მაღალი) კომპეტენციის სერტიფიკატი; და</p> <p>3. უნდა გააჩნდეს ეკმდის-ით აღჭურვილ გემზე არანაკლებ 1 წლის სავახტო თანაშემწედ ნაოსნობის სტაჟი.</p>
<p>ინსტრუქტორების წვრთნის კურსი (IMO მოდელ კურსი 6.09) (TOT)</p>	<p>1. უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და</p> <p>ინსტრუქტორების მწვრთნელის სპეციალური კურსის დამადასტურებელი დოკუმენტი;</p> <p>ან</p> <p>2. გააჩნდეს მინიმუმ 3-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება;</p> <p>გააჩნდეს საზღვაო სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა, რაც დასტურდება განათლებით ან სტაჟით; და</p> <p>ინსტრუქტორების მწვრთნელის სპეციალური კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;</p>
<p>სიმულატორის ინსტრუქტორების (IMO მოდელ კურსი 6.10) წვრთნის კურსი (TOT)</p>	<p>1. უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და</p> <p>2. სიმულატორის ინსტრუქტორების მწვრთნელის სპეციალური კურსის დამადასტურებელი დოკუმენტი;</p>
<p>საშიში და მავნე ნივთიერებების შეფუთული ან ნაყარი სახით გადაზიდვის მეთოდები (CDH)</p>	<p>1. უნდა გააჩნდეს მართვის დონის გემწამყვანის კომპეტენციის სერტიფიკატი; და</p> <p>2. უნდა გააჩნდეს მშრალტვირშიდი ტიპის გემზე მართვის დონეზე მუშაობის მინიმუმ 1 (ერთ)-წლიანი ნაოსნობის სტაჟი.</p>
<p>სამანქანე განყოფილების რესურსების მართვა (ETM)</p>	<p>1. უნდა ფლობდეს სამანქანე განყოფილების რესურსების მართვის მართვის სერტიფიკატს;</p> <p>2. უნდა გააჩნდეს მართვის დონის მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი; და</p> <p>3. უნდა გააჩნდეს გემზე მართვის დონის მექანიკოსად მუშაობის მინიმუმ 1 (ერთ)-წლიანი ნაოსნობის სტაჟი, მათ შორის, მინიმუმ 3 (სამი) თვე 2012 წლის შემდეგ.</p>
<p>სანავიგაციო ხიდურის რესურსების მართვა (BTM)</p>	<p>1. უნდა ფლობდეს სანავიგაციო ხიდურის რესურსების მართვის სერტიფიკატს;</p> <p>2. უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და</p> <p>3. უნდა გააჩნდეს გემზე მართვის დონეზე მუშაობის მინიმუმ 1 (ერთ)-წლიანი ნაოსნობის სტაჟი, მათ შორის, მინიმუმ 3 (სამი) თვე 2012 წლის შემდეგ.</p>
	<p>1. უნდა ფლობდეს ხელმძღვანელობა და გუნდური მართვის სერტიფიკატს;</p>



ხელმძღვანელობა და გუნდური მართვა (LDT)	<ol style="list-style-type: none"> უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს გემზე მართვის დონეზე მუშაობის მინიმუმ 1 (ერთ)-წლიანი ნაოსნობის სტაჟი, მათ შორის, მინიმუმ 3 (სამი) თვე 2012 წლის შემდეგ.
ხელმძღვანელობა და მართვის უნარ-ჩვევები (LDM)	<ol style="list-style-type: none"> უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს გემზე მართვის დონეზე მუშაობის მინიმუმ 1 (ერთ)-წლიანი ნაოსნობის სტაჟი, მათ შორის, მინიმუმ 3 (სამი) თვე 2012 წლის შემდეგ.
რადიოლოკაციური ნაოსნობა, რადიოლოკაციური გავლება, არღვს გამოყენება (RNA)	<ol style="list-style-type: none"> უნდა გააჩნდეს რადარი, არღვს ხიდურის გუნდური მართვა და საძიებო სამაშველო ოპერაციების სერტიფიკატი; უნდა გააჩნდეს მართვის დონის (გემთწამყვანი) კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს მართვის დონეზე გემზე ცურვის არანაკლებ 1 წლის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.
რადარი, არღვს ხიდურის გუნდური მართვა და საძიებო სამაშველო ოპერაციები (RBS)	<ol style="list-style-type: none"> უნდა გააჩნდეს რადარი, არღვს ხიდურის გუნდური მართვა და საძიებო სამაშველო ოპერაციების სერტიფიკატი; უნდა გააჩნდეს მართვის დონის (გემთწამყვანი) კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს მართვის დონეზე გემზე ცურვის არანაკლებ 1 წლის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.
ნავთობშიდი ტანკერის სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვა (CBO)	<ol style="list-style-type: none"> უნდა ფლობდეს ნავთობშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნის სერტიფიკატს; უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს ნავთობშიდი ტანკერებზე მართვის დონეზე ცურვის არანაკლებ 1-წლიანი სტაჟი.
ქიმშიდი ტანკერის სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვა (CBC)	<ol style="list-style-type: none"> უნდა ფლობდეს ქიმშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნის სერტიფიკატს; უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს ქიმშიდი ტანკერებზე მართვის დონეზე ცურვის არანაკლებ 1-წლიანი სტაჟი.
მაღალი ძაბვა (HVC)	<ol style="list-style-type: none"> უნდა გააჩნდეს მაღალი ძაბვის სერტიფიკატი; უნდა გააჩნდეს მართვის დონის გემის მექანიკოსის ან ექსპლოატაციის დონის ელექტრომექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს კომპეტენციის სერტიფიკატის შესაბამის თანამდებობაზე გემზე ცურვის არანაკლებ 1 წლის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი.
გემის პერსონალის წევრი (PER)	<ol style="list-style-type: none"> უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს გემზე მართვის დონეზე ცურვის არანაკლებ 1-წლიანი სტაჟი;
თევზსაჭერი გემის პერსონალის უსაფრთხოების საბაზისო წვრთნა	1. ვრცელდება იგივე მოთხოვნები, რაც განსაზღვრულია „საბაზისო წვრთნები“ ინსტრუქტორისთვის.
გემის მართვა და მანევრირება (SHC)	<ol style="list-style-type: none"> უნდა გააჩნდეს მართვის დონის გემთწამყვანის კომპეტენციის სერტიფიკატი; და უნდა გააჩნდეს გემზე მართვის დონეზე მუშაობის მინიმუმ 3 (სამი)-წლიანი ნაოსნობის სტაჟი.
ხანძართან ბრძოლის ხმელეთზე განლაგებული ტრენაჟორული წვრთნა (SBF)	<ol style="list-style-type: none"> უნდა ფლობდეს ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოებული კურსის სერტიფიკატს; უნდა იყოს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატის მფლობელი; და უნდა გააჩნდეს მართვის დონის არანაკლებ 6-თვიანი ცურვის სტაჟი; ან იყოს მეხანძრე მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟით.



ნედლი ნავთობით რეცხვის სისტემა (IGC)	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს ნავთობშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და 3. უნდა გააჩნდეს ნავთობშიდი ტანკერებზე მართვის დონეზე ცურვის არანაკლებ 1-წლიანი სტაჟი.
ინერტული აირების სისტემის გამოყენება (COW)	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ფლობდეს ნავთობშიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნის სერტიფიკატს; 2. უნდა გააჩნდეს მართვის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი; და 3. უნდა გააჩნდეს ნავთობშიდი ტანკერებზე მართვის დონეზე ცურვის არანაკლებ 1-წლიანი სტაჟი.
საზღვაო კულინარია	<p>მოითხოვება რამდენიმე ინსტრუქტორი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უნდა გააჩნდეს უმაღლესი იურიდიული განათლება საზღვაო სფეროში ან/და იურიდიული განათლება, რომელიც დასტურდება საზღვაო სფეროში მუშაობის გამოცდილებით ან პუბლიკაციით; 2. უნდა გააჩნდეს უმაღლესი საინჟინრო/საზღვაოსნო მეცნიერებათა სფეროს ან მასთან გათანაბრებული განათლება; 3. უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება ინგლისური ენის ფილოლოგიაში ან ინგლისური ენის სწავლების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან – უმაღლესი საინჟინრო/საზღვაოსნო მეცნიერებათა სფეროს ან მასთან გათანაბრებული განათლება და საზღვაო სფეროში მუშაობის გამოცდილება ან პუბლიკაცია; 4. უნდა გააჩნდეს საექიმო განათლება/დიპლომირებული მედიკოსი; 5. უნდა გააჩნდეს კულინარიის ხელოვნების/მზარეულის კვალიფიკაცია ან არანაკლებ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება ფართო პროფილის სამზარეულოში.
აირზე და დაბალი ფეთქებადობის საწვავზე მომუშავე გემის საბაზისო წვრთნა (IGB)	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა გააჩნდეს აირშიდი გემებზე მართვის ან ექსპლოატაციის დონეზე მუშაობის არანაკლებ 12-თვიანი გამოცდილება.
აირზე და დაბალი ფეთქებადობის საწვავზე მომუშავე გემის სპეციალიზებული წვრთნა (IGA)	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა გააჩნდეს აირშიდი გემებზე მართვის დონეზე მუშაობის არანაკლებ 12-თვიანი გამოცდილება.
პოლარულ წყლებში მცურავი გემის ექსპლოატაციის საბაზისო წვრთნა (PCB)	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა გააჩნდეს პოლარულ წყლებში მცურავ გემებზე მართვის დონეზე მუშაობის არანაკლებ 6-თვიანი გამოცდილება.
პოლარულ წყლებში მცურავი გემის ექსპლოატაციის სპეციალიზებული წვრთნა (PCA)	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა გააჩნდეს პოლარულ წყლებში მცურავ გემებზე მართვის დონეზე მუშაობის არანაკლებ 6-თვიანი გამოცდილება.



--	--

